კვირა 17 იანვარი.

ფასი 10 კაპ.

# მათრახი

№ 3.

— სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ.-ჟურნალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჟურნალ „ჯეჯილის" 20 წლის იუბილე

**ბავშვებისაგან.**

დაუვიწყარო
და საყვარელო,
ბავშვების გულის
გამახარელო,
ჩვენო ძვირფასო
ბიცოლა ტასო!
ჩვენ, პაწაწინა
შენი შვილები,
შენი ალერსით
გამოზრდილები
სალამს მოგიძღვნით
ჩვენს პირისფალს,
შენს დღეგრძელობას
შევვედრით უფალს.
ბევრი არა გვყავს
შენებრ კეთილი,
შენსავით მტკიცე
და გამოცდილი
მასწავლებელი,
ყურის მგდებელი...
ჩვენი „ჯეჯილი"
ხომ შენ დასთესე?..
სხვა ვინ იწუხებს
თავს ჩვენთვის ესე?
ვართ ისე, ობლათ,
გაუკითხავად
წიგნს ვერ ვშოულობთ
წასაკითხავად...
შენ, საყვარელო
ბიცოლა ტასო,
ჩვენო იმედო,
ჩვენო ძვირფასო,
არ დაგიზოგავს
ღონე და ძალი,
შენ აგვიხილე
ჩვენ საწყლებს თვალი.
თავს გვევლებოდი
როგორც გამდელი,
გიკურთხოს ღმერთმა
ეგ გამრჯე ხელი.
დღეს, „ჯეჯილისა"
ოცი წლის თავად,
ჩვენ, სიყვარულის
აღსანიშნავად,

გიძღვნით ამ გვირგვინს
და ამ თაიგულს,
თან მოვაყოლებთ
ჩვენს სულ'ა და გულს.
იცოცხლე დიდხანს
ჩვენო ძვირფასო,
დაუვიწყარო
ბიცოლა ტასო.

—კი.

---

# სამი ხანა.

*(გაგონილი ამბავი.)*

გააჩინა ღმერთმა ქვეყანაზე ადამიანი და ოცდა ხუთი წლის სიცოცხლე მიანიჭა. გააჩინა ვირი და ორმოცდა ათი წლის სიცოცხლე უბოძა. შექმნა მაიმუნი და სამოცდა ხუთხმეტი წლის სიცოცხლით დააჯილდოვა.

მოგეხსენებათ, ადამიანი გულხარბია დაიწუნა მან ოცდა ხუთი წელიწადი და გამჩენს შესჩივლა: „დიდებულო ღმერთო, ამ მშვენიერ ქვეყანაზე ცხოვრების უფლება რომ ოცდა ხუთი წლით მომეცი, რა დაგაკლდებოდა, ეგ ვადა ცოტა კიდევ გაგეგრძო და ბუნების სიმშვენიერის ცქერით უფრო დიდ ხანს დავმტკბარვიყავი. ამ ჩემი სურვილის დასაკმაყოფილებლად ენის განძრევის მეტი ხომ არ დაგეხარჯოდა რა ჲ?“

ღმერთმა თავისი კანონიერების დასამტკიცებლათ მრავალი საბუთები მოუყვანა გაუმაძღარ კაცს და დაუწყო მშვიდება. ამ დროს საშინელის ყროყინით მოიჭრა ვირი და გამჩენს უსაყვედურა: „დალოცვილო ღმერთო, 'მენ ჭკუასა და 'იმართლეს გიწონებენ, და როცა საქმე ჩემ შესახებ მოდგა, ეს შენი დიდებული ნიჭი რატომ არ გამოიჩინე სავსებით? რატომ არ გებრალები, რომ ორმოცდა ათს წელიწადს მაცოცხლებ? მთელ ამ ხნის განმავლობაში, უმოწყალოდ ნახედურ ზურგზე ტყავი ხომ აღარ შემრჩება, ვერ ავიტან ამდენ ჯაფა-წვალებას და გევედრები, შეამცირე ჩემი სიცოცხლე რამდენადაც კი ეს მოსახერხებელი იყოსო!“

იქ მყოფ ადამიანს დიდყურას ასეთი უმეცრული თხოვნა გაუკვირდა და რადგან თავისი წლოვანება მას ეცოტავებოდა, გამჩენს ვირის დაწუნი წელიწადები გამოსთხოვა. უფმლმა უსმინა ორთავეს, მოაკლო ვირს ოცდა ხუთი წელიწადი, დაუმატა მეწუნია ადამიანს და 50 წლათ გაუხადა.

ჯერ არ მოთავდარიგებულიყო ეს საქმე, რომ ერთის მანჭვა გრეხით ეახლა გამჩენს მაიმუნი და ცრემლების ფრქვევით შესთხოვა: „დიდო მეუფეო, სიკეთითა და მოწყალებით სავსე ხარ, მოიღე ჩემზედაც სიბრალული, ისმინე ჩემი ვედრება: გეხვეწები, ნუ ინებებ, რომ ასეთი ყბად-ასაღები ქმნილება დიდ ხანს მასულელო და მატირო ამ ქვეყანაზე. სამოცდა ხუთმეტი წლის განმავლობაში მთელი ქვეყნის დაცინვა ჩემთვის აუტანელი სასჯელი იქნება. დამიხსენ ამისაგან, შემიმოკლე სიცოცხლის დღენი.“

გაუმაძღარმა ადამიანმა ახლა მაიმუნის ზედმეტი წელიწადებიც ითხოვა. უფალმა იფიქრა: მოდა, ამ მაიმუნის სიცოცხლეს გადავაკლებ ოცდა ხუთ წელიწადს, ადამიანს დავუმატებ და შეიძლება მაშინ გაძღეს იმისი ხარბი გულიო. ასეც მოიქცა: კაცმა სამოცდა ხუთმეტი წელიწადი, სამ დარგათ ნაბოძვარი, იგდო ხელში, გამჩენს მადლობა შესწირა და მოკურცხლა.

ყოველ ამ დარგს, თურმე თავისი თვისებაც თან გამოყოლოდა და ადამიანის ცხოვრებას დღემდის თურმე თან დასდევს და სამ ხანად ყოფს.

პირველი არის ადამიანური ხანა, რ-მელიც მთელ სიცოცხლეში ოქროს ხანად ითვლება და ოცდა ხუთ წლამდის გასტანს ხოლმე.

მეორე ვირის ხანა; ეს ხანა ოცდა ხუთიდან ორმოცდა ათ წლამდის უწევს. ცხოვრებაში ყველაზე უფრო სამძიმო ეს დროა. ამ ხანაში გადასული ადამიანი, ცოლშვილისა და ოჯახის გადამკიდე, წვალობს და იტანჯვის ვითარცა კარაული, ვიდრე ორმოცდა ათ წლამდის.

ხოლო მესამე, მაიმუნის ხანაა. ამ ხანაში გადასული ადამიანი სავსებით უახლოვდება იმ ქმნილებას, რომლისაგანაც მას ეს სეხხი წამოუღია.

როგორც ხედავთ, ადამიანის სიცოცხლე სამ ხანად განიყოფება. დამერწმუნებით ამაში მხოლოდ მაშინ, როცა გამოიცნობთ, თუ რომელი თქვენგანი რომელ ხანაში ბრძანდება ამ ჟამად.

ბლიკვაძე.

---

# მათხოვრები.

(საახალწლო)

დავსძახებ ,,ალი-ჩალილოს‘‘
და წავიგძელებ ენასა...
ყური დამიგდეთ, ბიჭებო,
თქვენი დედ-მამის ლხენასა!
ბებია ჩემის ნაამბობს
ერთსა მოგითხრობთ არაკსა,
და თქვენ კრიტიკა უყავით
ამ ჩემ ცრუ ნალაპარაკსა.
იყო ერთი ბერიკაცი,
ჰქონდა ერთი ძველი ფაცხა,
მაგრამ ზამთარს ვერ გაუძლო ..
თოვლმა თავზე დაანარცხა.
ძლივს გაასწრო ბერიკაცმა
და გადურჩა სიკვდილს, მწარეს,
გულ-ნატკენად გადახედა
თავის ყოფილ ნასახლკარევს.

ხელთ აილო ყავარჯენი,
ძველი გუდა გამონახა,
სამათხოვროთ გზას დაადგა
და პირჯვარი გადისახა.
ოქუდო და ფეხტიტველა,
სიცივისგან კან ამწვარი
წინ შემოხვდა იმას ძილი,
მოხუცივით მათხოვარი.
—,,გამარჯვება!''—,,გაგიმარჯოს''..
—,,წინ გ მიძეხ, პატარაო!
აღარ ძალმიძს, სიბერის დღემ
ურცხვად წელ'ში მომხარაო.
მარტო ვეღარ ჩამოვივლი
დაბა, ქალაქს და სოფელსო,
შენ წადი, მე გამოგყვები
და დაგაბჯენ მხარზე ხელსო!''
დღეს ეს ორი მათხოვარი
სად არიან, თუ გსურთ, მკითხეთ.
განსწავლით და წადით, ნახეთ,
მიესალმეთ!.. გაიკითხეთ!..

**ნ. ზომლეთელი.**



## დეპეშები.

**ოზურგეთი.** «Все Благополучно»! სოფელ ასკანაში მომხდარ მკვლელობათა გამო დაიჭირეს ოზურგეთის მასწავლებელნი: ხვარამზე, ეველინა, მუცუცა და ფლორენცია

როგორც «სფერებში» ამბობენ, გოროდოვოი ეგნატე სამხედრო წესების გამოცხადებას ეპირებაო.

**სამტრედია.** ჩვენისთანა ბედნიერი და საქმის ხალხი ქვეყანაზე არც იქნება. სხვაგან ხომ საზოგადოებრივი უმოქმედობაა, ჩვენში პირიქით სიცოცხლე დუღს და გადადუღს. ადგილობრივმა წერა-კითხვის განყოფილებამ უკვე დააარსა საკვირაო სკოლა, მაგრამ სწავლა ჯერ არ დაწყებულა. მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ კვირა დღე ვერ გამოიანგარიშეს როდის იქნებაო.

**ყვირილა.** შორაპნელმა კონდუქტორმა ა—ნ ს—ძემ საუცხოვოთ დაიჭირა მძიმე ეგზამენი ებრაელების დევნისა რკინის გზის ვაგონებში. აი დაახლოებით ზოგიერთი ნიშნები:

| | |
|---|---|
| რჯულის გინება . . . . | 5+ |
| წვერების დაქილვა . . . . | 4— |
| მუშტის თავაზი . . . . . | 5— |
| პანლურიზმი . . . . . | 3. |

საზოგადოთ, ეს პირველი მაგალითია ჩვენს მატიანეში.

**ქვემო საქარა.** ადგილობრივი მცხოვრებნი გაფაციცებით ეძებენ... „კლიაოზნიკებს".

**დიდი ჯიხაიში.** ახალი წელი ახალი მამასახლისის გამარჯვებით დაიწყო. ძველი, ქალალდი-ჭამია მამასახლისი გადააყენეს. მან ჯაჭვი არავის არ დაანება მოუვიდათ ჩხუბი ახალმა აჯობა, ჯაჭვი წაართვა. სამაგიეროთ სოფლის ანგარიშები ჯერაც არსად სჩანს.

**სამტრედია.** ადგილობრივი სად. უფროსი მუდამ ჟამს ახირებული იყო, მაგრამ ახლა სულ ჭიდაობის გუნებაზე დგას. ხშირათ ღლაბუცობს როგორც მოსამსახურეებთან, ისევე გარეშე პირებთანაც. მალე გიმნასტიორთა კლუბს დააარსებსო.

**ხონი.** არჩევნები გათავდა. ყველა სამამასახლისოებს გაუზომეს მუცელი და აკაკი სიმონიძეს სულ ყველაზე უფროსი გამოაჩნდა. დიდი ხმის უმეტესობითაც ის იქნა ამორჩეული.

ადგილობრივ სავაჟო სასწავლებლებში შემოიღეს ახალი, ხონისათვის სავალდებულო საგანი: ძაღლებისთვის კუდზე ქეშტის მობმა.

მღვდელს ილიკო ბახტაძეს მტრედი გაუფრინდა.

---

## საცენო კუპლეტები.

(დეკადენტურ ყაიდაზე.)

1

ვარ პოეტი დეკადენტი,
ვერავინ მცნობს კიტას მეტი...
რეტი ..
კეტი. .
ცეტი...
ფეტვი .

2

ვერ დაატოს მის გარდა ვერვინ
გრძნობა ჩემს გულში უხვად ნაკეცი...
მხეცი..
ქეცი..
გავიქეცი...
წავიქეცი..

3

მე სიცოცხლე მძულს
სიკვდილს შევხარი...
ზარი...
ხარი...
ჯარი...
ძმარი...

4

მე ძეგლს დამიდგამს შთამომავლობა,
ის დამაფასებს, ვენაცვალები...
ქალები...
თვალები...
ქარები...
კარები...
გავიპარები... (მიიპარება)

**პოეტუნა.**

---




ეროვნული ბიბლიოთეკა

# კ ა ტ ა ს ტ რ ო ფ ა.

მუსიო ბაქაილ. დასწყევლოს ღმერთმა! ისე მტკივა მუცელი, რომ ვეღარც კი ვარჩევ რომელია ვატმანისა და რომელი კონდუქტორის ქუდი! მოდი ახლა და იპოვე დამნაშავე!

# კომეტა.

(კუდიანი ვარსკვლავი.)

წ[?]რა-კითხვის საზოგადოების ,,ვიწრო'' კანტორაში ჩვეულებისამებრ შეკრებილიყო ჩვენი ეროვნების სიამაყე, ნაციონალური ქართველი მოძველო ახალგაზრდობა და აგრეთვე ჩვეულებრივ ლაზღანდარობდა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ამ ლაზღანდარობაში ყველა თავისს საქმეს აკეთებდა: ბ ნი მდივანი საზოგადოებისა, როგორც მასპინძელი კრებისა, მარჯვენა თვალით საზოგადოების დავთარში საქმიანობდა, ხოლო მარცხენა თვალი, ორივე ყურები და რასაკვირველია სამეტყველო ორგანოც კრებისათვის შეეერთებია. „დროების“ რედაქტორი, ღრმად ჩაფიქრებული კედელს მისდგომოდა და კავკასიის გაცრეცილ ქარტაზე ხელებს აბადუნებდა. პატივცემული გიორგი გვაზავა ძველის-ძველ, ხუცურ ხელნაწერს, მოსჯდომოდა და გაფაციცებით კითხულობდა. ერთმა დამსწრეთაგანმა დროზე შენიშნა, რომ ცნობილ ვექილს წიგნი უკუღმა ჰქონოდა გადაშლილი და ამით საერთო სიცილი გამოიწვია.

— რა გაცინებთ, ხალხნო, რა გაცინებთ! ჯერ კიდევ კარებიდან შემოიძახა პედაგოგმა პეტრე სურგულაძემ და ჯეირანივით შემოიჭრა კანტორაში.

ყველას შიშის ქარმა დაუბრინა, ვერავინ ბედავდა პეტრესთვის შეკითხვა მიეცა და თითონ პედაგოგი, ,,ვაკედან'' იორღით ჩამოსული, სულს ძლივსღა იბრუნებდა.

— რა ამბავია კაცო?.. გულის ფანცქალით შეეკითხა ს. ფირცხალავა.

ყველანი სმენათ იქცენ.

— კომეტია გა...... ძლივს წარმოსთქვა პეტრემ და სალოკი თითით შუბლს მოდინილი ოფლი მოიწურა.

— რა კამედია,.. რას ამბობ? განმეორებით შეეკითხა სამსონი.

— კომეტია გამოჩნდა, კომეტია, ძალდატანებით წამოიძახა სათავად აზნაურო პედაგოგმა.

ყველანი გაოცდენ! ვერავინ გაიგო საქმე რაში იყო.

— თქვი თუ ღმერთი გწამს, რა ჯანება გამოჩნდა, ნულა გვაწვალებ, ნერვები ისედაც აშლილი გვაქვს. ნაწყენი კილოთი შესთხოვა მიხაკო წვრეთელმა, უკვე გონზე მოსულსა და დამშვიდებულ პეტრეს.

— თქვე ოხრებო, დამაცადეთ ცოტა სული მოვითქვა. გეუბნებით რომ კომეტია გამოჩნდა, აი კუდი რომ აქვს. ზე კაკალ ჩვენს გემნაზიასთან დაეყუდა.

— რა ჯანაბაა ეს ,,კომეტია'' აღარ იტყვი? შეეკითხა მოუთმენელი ლობჯანიძე.

— კომეტია ბ-ნებო კუდიანი ყოფილა და კუდიანი ჩვენს გემნაზიასთან ან პატივცემული ვინმე იქნება ან ასეთივე ძროხა. იოხუნჯა ნიკო ლორთქიფანიძემ.

— რასაკვირველია ერთ-ერთი იმათგანი, რადგან თქვენ ორივენი აქა ხართ და კომეტია კი იქ დარჩენილა. დასძინა გრიგოლ დიასამიძემ.

— მე შიშით გული გადამიბრუნდა და თქვენ კი აქ ლაზღანდარობთ.. წყენით ჩაილაპარაკა პეტრემ. ეს რაღაც კარგის მომასწავებელი არ არის..

— მართლა ყოფილა რაღაცა, დინჯათ შენიშნა მიხეილ ადამაშვილმა და მარჯვენა ხელზე ,,ფერჩათქა'' წამოიცვა.

— კაცო, არა გჯერათ? მთელი ხალხი დაფეთებულია, ქვეყანა აღ'დგა, იმას შეჰყურებს!..

— როგორ! ხალხი აღსდგა? ვინ ხალხი? მღერიან? საით მიისწრაფიან? სხაპა სხუპით ანუ უკეთ ვსთქვათ ჯორის ტლინკებსავით დააყარა კითხვები უკვე აფეთქებულმა მიხაკომ.

— ხო არ გაგიჟდი, სად უნდა მოსდიოდეს. დგანან მინდორზე და ცისკენ გაიყურებიან. კომეტია ჯერ კიდევ არ ჩასულა.

— ვაიმე ,,კომეტა'', ,,კომეტა'', ,,კომეტა'' ყოფილა!' აღტაცებით და ხელების ქნევით წამოიძახა სამსონმა, ალბათ იმის შიშით, რომ აღმოჩენა არავინ მომასწროსო.

— მეც ეგრე არა ვთქვი? რა გახტუნებს. შენიშნა პეტრემ.

— შენ გურულათ თქვი ,,კომეტია'', გაუსწორა სვიმონ ყიფიანმა.

— ქართულათ კუდიანი ვარსკვლავი ჰქვია, დააყოლა ქაიხოსრო ქავთარაძემ.*)

— კუდიანი ვარსკლავი?!! ერთხმათ წამოიძახა რამდე'იმე ჩალურჯებულმა ბაგემ და მცირე ხნის სიჩუმე ჩამოვარდა. გიორგი გვაზავას შიშით ხელიდან წიგნი გაუვარდა, სამსონმა სამოცი მანეთი შემოსავლის მაგიერ გასავალში ჩასწერა; ლობჯანიძემ შინ წასვლა დააპირა და მოკრძალებით ემბორა პართენ გოთუას მადლიან ხელს, გამოსამშვიდობებლათ გაწვდილს, ვინაიდან ცნობილი დრამატურგი მღედრობითი სქესისა მოეჩვენა! ფილიპე გოგიჩაიშვილმა ღრმათ ამოიოხრა და ტუჩების ცმაცურით რაღაც სოფლური ლოცვა ჩაილაპარაკა. კოწია თუმანიშვილი ფერ-მიხდილი კუთხეში აიტუზა და ზეცად თვალ-აპყრობილი რაღაცას შევედრიდა მეუფეს.

— რას ნიშნავს ნეტავი ეს მოვლენა?... დაარღვია სიჩუმე სამსონმა.

— რას უნდა ნიშნავდეს: ღვთის განგება უმიზეზოთ არასოდეს არ იჩენს თავს. რაიმე განსაც-

*) უკაცრავათ, რომ გიორგი ლასხიშვილის მაგიერ შეცდომით ქაიხოსრო ქავთარაძე შეგვეპარა.

ეშმაკი.

ღელი აუცილებელია საქრისტიანოსათვის, შენიშნა კოწიამ.

— ეს უთუოდ ჩემი ,,პარტიის კაცის'' ბედის ვარსკვლავია!.. აღტაცებით წარმოსთქვა პართენმა.

— ალბათ კუდს შეჰყავხარ შეცდომაში, წყნარათ მიუგო მიხაკომ.

— მე მგონია კამეტას კაცის სახე უნდა ჰქონდეს და თუ ეს ასე იყო, ცხადია პროფესორი მარრი იქნებოდა!.' შენიშნა გიორგი გვაზავამ.

— კაცის სახეს მართლაც რომ მოგაგონებდა, მაგრამ მე უფრო ბ-ნ მზრუნველს მივამსგავსე. ალბათ ეს არის ჩვენზე მოვლენილი რისხვა ქუჩაში მორიგეობისა, დასძინა პეტრემ.

— ეს მით უმეტეს, თუ კუდიანი ვარსკვლავი მასთან ერთად პაპიროზსაც გავდა.

— ჩემის აზრით ეს რისხვა ქართველი ხალხის თავზე უნდა იყოს მოვლენილი. აბა შეხედეთ ამ ქარტას, სად არის გარეთ კახეთი? წარმოსთქვა ,,დროების'' რედაქტორმა.

ქარტაზე, სიძველისა და კარგი მოვლის გამო ეს ნაწილი მართლაც ამოხეულ-ამოცრეცილი აღმოჩნდა. მდინარე იორი ქ. თიანეთთან თავდებოდა.

— ვინ იცის, იქნებ ახალი ეგზარხის დანიშვნას მოასწავებს ეგ საკვირველი მოვლენა, საზრიანათ შენიშნა ,,საქართველოს მოამბის'' რედაქტორმა.

— იქნება კომეტა ახალ რევიზიას მოასწავებს, შეშინებული ხმით წარმოსთქვა მაღაზიის გამგემ.

— რას ამბობთ, ერთი! ეს კამეტა ლადო მესხიშვილისაა. წაიოხუნჯა კოტე მესხმა.

— რატომ ვაზვიადებთ აგრე არ ვიცი ღმერთმანი! იქნება ეს ვარსკვლავი რაიმე ბედნიერებას გვიქადის გაამხნევა კრება ლასხიშვილმა.

— შემობრძანდით ბ-ნებო ,,ამბავში'' და იმდენი კუდიანი ვარსკვლავი გიჩვენოთ, რომ ვერც დასთვალოთ! უშიშარის და თავზე ხელ-აღებული კილოთი წარმოსთქვა ანდრია ღულაძემ.

— შეიძლება ეს მოვლენა სპარსეთის ქართველობას შეეხებოდეს დინჯათ განმარტა ლუარსაბ ბოცვაძემ.

— არაბთა ასტრონომის, უისტონის აზრით კომეტას ყოველთვის წარღვნა მოსდევს ხოლმე. მეცნიერული კილოთი შენიშნა გვაზავამ.

— ზოგიერთ თავებში წარღვნა კომეტის მოვლინებას უსწრობს კიდევაც. დასძინა პროფესორმა ივ. ჯავახიშვილმა.

— ეს ალბათ ქარაფშუტა თავებში! ჩამოურია გრ. დიასამიძემ.

გვაზავა გაწითლდა. აიმრიზა და მარცხენა ფეხის წვერზე დაიწყო ცხმუტვა.

— ისეთმა ვირმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველიდეს!.. გესლიანათ და მოსწრებულათ მოუჭრა სიტყვა სამი ივნისის დამცველმა.

ამ ანდაზამ საერთო სიცილი გამოიწვია, ერთის წამით ყველას გადაავიწყდა ღვთის მიერ მოვლენილი რისხვის ნიშანი.

ასე კარგია გონება მახვილი ადამიანი.

ეშმაკი.



# ღამე.

(ვუძღვნი ჰესიმისტებს.)

ღამეა ბნელი. ცისა კიდურზე,
ლეგა ღრუბლები გამწკრივებულან.
მთვარე აღარ სჩანს, ვარსკვლავთა გუნდნი
სადღაც მიმქრალან, მინარცხებულან.
მდელოს გლოვის ზარს უმღერს ბარიო
სუსხით გაძარცულს განატიალებს
ტყეს ამკვნესარებს, ტოტს ტოტს აჯახებს,
ობოლ ფოთლებსა შორს აფრიალებს.
აქ ბუ გაჰკივის გულ-დასაღონათ,
იქ კი ანკარა კორდით მომსკდარი
ლიკლიკებს მწარეთ, სევდიან ჰანგზე,
ჰაერში სცურავს ხმები საზარი.
და თვით სატანა, შავი სატანა
ბნელ ძალებს უსტვენს, დაძრწის ეული
მაშვრალთ ქოხმარებს თავს დახარხარებს
ბოროტ სურვილით გულ-ამღვრეული.

—

ნაცნობ ადგილზე ობლათა ვდგევარ
ფიქრში ჩაფლული, დაღონებული
და უნუგეშოთ გავყურებ სივრცეს
მწარ მოგონებით აღშფოთებული.
აგერ ჩემ გვერდით ჯვარი არჭვია,
იქ ამხანაგის საფლავი არი
მტარვალის ხელით ჩუმათ დაფლულის...
მას მშობლის ნაცვლად დასტირის ქარი.
დაწყლული გული ვერ იტევს ნაღველს,
თვალთ უნებურათ ცრემლები სწყდება
და რა მომესმის ბორიოს კვნესა
ჭირი, მით უფრო მიათასდება.
მაგრამ ვირკვევი.. ვგრძნობ ვერრას ვარგებ...
კვლავ გავიხსენებ მიზანსა დიადს
ვგმობ ლაჩრულ ცრემლებს, ამ ტიალ ღამეს,
და აღტაცებით ველი განთიადს.

—

ჰოი მტირალნო, იმედ-მიხდილნო,
სასტიკ ცხოვრების საბრალო შვილნო,
დაჰგმეთ ცრემლები!... ამ საშუალებით

რომელი დასტკბა ბედნიერებით.
თუმც მართალია ეგ სევდის ღამე
არის კაეშან ბოლმის ამშლელი
და შავ სატანის შავი სიცილი
სულის აღმშფოთი, ტანჯვის მომგვრელი,
მაგრამ იმედი: რომ ღამეს დღე სძლევს,
სატანის ხარხარს, გმირთა ყიჟინი
სინამდვილეა... ამას გვიმტკიცებს
ბუნების კანონთ უცვლელი ჟინი.
მაშ ნუ, ნუ სტირით... შეწყდეს ქვითინი
იმედის სხივმა გაიელვაროს,
თენდება კიდეც... და შავი ძალა
ქვესკნელს 'მთაინთქას, ცრემლები ღვაროს.

**ნ. ჩხიკვაძე.**

# პატარა ფელეტონი

**გამოძახილი.**

„...ცრემლები, წერტილები, სიტყვები... მდუმარება...
„მაღალი პოლიტიკის ამბები..., გამოუთქმელის გამოთქმა..., დაფარულის გამოცხადების იმედი“. სიტყვა.

— სანათლილებო „დროება“ წაიკითხე?

— არა, ჯერ არ წამიკითხავს!

— მაშ, სიტყვას „დღეურს“ დააკვირდი.

— რაშია საქმე?

— რაშია და სიტყვა სწერს: ,,მეგობარი მკითხველი, ან მაღალი პოლიტიკის ამბებს მოელის ჩემგან, ან ისეთებს, რომლებშიაც გამოუთქმელი გამოითქმის და დაფარული გამოცხადდების“-ო...

— ვინ მოახსენა? გამოთქმული ვერ გაუგია და „მაღალი პოლიტიკის ამბებს“ ან „გამოუთქმელის გამოთქმას“ მისგ ნ ვინ მოელის? მოელიან მხოლოდ მის „პატარა ამბებს“, სადაც წერტილებს, სიტყვებს, (ცალიერს), „ცრემლებსა“ და ოხვრა-გმინვას ექნება ჯირითი. ხოლო რაც შეეხება „გამოუთქმელის გამოთქმას“, ეს არც მოსალოდნელია მისგან და არც არავინ მოელის. ეს გვაზავას უფრო ეხერხება.

— მე მგონია არც ,,პატარა ამბებს‘‘ უნდა მოელოდეს მისგან მკითხველი, ვინაიდან ახალი წლის ,,დროებაში‘‘ საჯაროთ აღიარა: ,,ბევრისაგან გამიგონია საყვედური ,,პატარა ამბების‘‘ შეწყვეტის გამო... მარა არის ჟამი, როცა დუმილი აუცილებელია, უნებური, სტიქიურია‘‘ ო...

— მაშ, რაღას ცოდვილობს, თუ დუმილი აუცილებელია!

— რა ვიცი, დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი! ახალ-წელიწადს, მართალია, ასე ფიქრობდა, მარა ხედავ, სულ რაღაც 5 დღეში როგორ გამოცვლილა?! საზოგადოთ, ხომ იცი, როგორ ხშირათ იცვლიან ჩვენი ნაფიცი ინტელიგენტები აზრსა და მიმართულებას.

— მართალია, მასაც უყვარს ლოლიკური ,,ნახტომების‘‘ კეთება... მარა წინეთ ,,პატარა ამბებს‘‘ კარგს სწერდა. ძალიანი მომწონდა იმ დროს მისი წერტილები... ცრემლები... სიტყვები... სიტყვები და სიტყვები.

— რა ყრია მერე ცარიელ სიტყვებში?

— როგორ თუ ცარიელში?! აკი ერთ-ერთ ,,პატარა ამბავში‘‘ ის სწერდა: ,,სიტყვა ყველაფერს დაანგრევს, ცხოვრებას შეცვლისო, ძველს განაახლებსო, სიბნელეს მოსპობსო, სანატრელ მომავალს დაგვიახლოვებსო...

— კარგი, კარგი, მაგრამ საქმე?..

— მარტო სიტყვითაც არ თავდებოდა სიტყვას სიტყვა.

აი მაგალითად, როცა „პატარა ამბებს‘‘ გაანება სიტყვამ თავი, ,,მიწაში‘‘ დაიწყო წერა...

— მოიცა, მოიცა, მიწაში წერა როგორ შეიძლება?

— ფილიპე გოგიჩაიშვილი თუ კი ,,თხრილში‘‘ სწერდა, სიტყვას რატომ არ შეეძლო ,,მიწაში‘‘ წერა?

— ახლა სულ ალარაფერი მესმის!!.

— აქ გაუგებარი არაფერია. ერთ უცხო სტუმარს თურმე ფილიპეს ნახვა უნდოდა. წავიდა ლანჩხუთში და ამბავი იკითხა. მოხუცმა მეზობელმა, რომელიც მას გადაეყარა, უპასუხა: ფილიპე ახლა ქალაქშია და „თხრილში“ სწერსო. სტუმარი ძლიერ გააკვირა ამ ამბავმა და დიდის ვაი-ვაგლახით გაიგო, რომ ,,თხრილი‘‘ ,,კვალი‘‘ ჰგონებოდა მოხუცს. იქ სრული გაუგებრობა იყო და მე კი ასეთი არაფერი მითქვამს: ,,მიწა‘‘ ჟურნალი იყო. საგლეხო ჟურნალი. თფილისში გამოდიოდა და თფილისშივე ლპებოდა. ამ ჟურნალში სიტყვა სწერდა — მიწა გლეხებსო და სხ...

— კი მაგრამ, გლეხებში არ აგზავნიდა?

— გლეხებს რათ უნდოდათ, იმათ ხომ კითხვა არ იციან?

— ახირებულია სწორეთ, მაშ, ვიღასთვის სწერდა?

— როგორ თუ ვიღასთვის? გლეხებისათვის.

— მერე გლეხებს რატომ არ აკითხებდა?

— კაცო, როგორ წააკითხებდა, როცა იმ გლეხებმა წერა-კითხვა არ იციან?

— კაცო, მაშ ვისთვის წერდა?

— ვა! აკი გითხარი, თუ, გლეხებისათვის მეთქი...

— მერმე რატომ არ უგზ...

— ეს კუდიან ვარსკვლავს ჰკითხე.

**— ვ ე ლ ი.**



### მესტვირული.

(ს. ზემოხეთისთვის.)

ეშმაკო, ჩემო ბაბუა,
მათხოვე შენი სტვირია.
თუმცა ამ დღესასწაულზე
ბევრი გთხოვს, ბევრსა სჭირია
ძველი წლებიდან ჩაგრულებს
დღესაც არ მოგვდის ძილია.
ნედოიმკ,—დრამა,—ჯარიმა,
ერიშით მოწოლილია.
ხუთჯერ გაგვაძვრეს პერანგი,
ლუკმა მოგვისპეს თფილია.
შემოგვესივნენ ყველანი,
სინდისზე გაწმედილია.
ქანქარს ყლაპავენ, სკოლაცა,
სოფლისთვის დაკარგულია!
საჭამიესა სერზედა
კოშკივით წამოდგმულია!
ბავშვნი კნავიან ასვლაზე,
ჩამოსვლით დაზაფრულია.
თხოვნებსა ვგზავნით უფროსთან,
მაგრამ რა... მიჩქმამულია!
საერთო საქმეს უმტყუნეს
გზა ამჯობინეს ძველია
და ამოძრავდენ უტიფრად
ცბიერი, ტურა-მელია.
მოსთხოვე ახალ წელიწადს,
რომ გამოსცვალოს ძველია,
გაბწყოს ტურა მელები,
და გაგვინათლოს ბნელია.
თუ ეს არა ქნას, ეშმაკო!
შენი შეწევნა გვჭირია:
გთხოვთ ამათ შენი მათრახი
არ გაუხადო ძვირია.

ლ. ზემოხეთელი.

---

### პატარა ვეფხის ტყაოსანი.

—

ფილოსოფოსნი შემოკრბენ, ამაზედ ქონდათ ცილობა,
დრამა ქურდს ჭკუა ასაქმებს, თუ ტვინის განაგრილობა,
თფილი ადგილი სჯობია, თუ სრული უადგილობა,
პლაგიატობა თუ არის ქურდობა, გადლეტილობა.
დრამა ვნახე მისი იყო სამართალი ვისაც სძულსა,
დაეწერა ხეობელთან კუდი კუდზე გადაბმულსა,
მე შენ გეტყვი, ერიდება იგი სიტყვას აგათ თქმულსა,
აწ ნაწერი დაგანახვებს იმის საქმეს შავრაზმულსა.
ჰე ჩემო, „ეგაცი პარტიის" არს ჩემგან მონადგაწები,
თავში სირბილე მიგია, თუ კინდა თბილათ ჩაწვები;
მე ჭკუა ჩემი არ მიჭრის, რადაც, ძალ და ძალ ვაწვები,
მადლია, მე—ამ მატრაკვეცს, ამომიცეხვონ დაწვები.

ბლიკვაძე.

---

# სატრფოს.

—

ჩემო სულის დგმავ! შენი მგოსანი
შენთვის ვაკვნესებ ჩემ ობოლ ჩანგსა,
და მთა-ბარსა ვფენ, გულში ვაქარგავ
მწარე სიმღერას, სევდიან ჰანგსა...
შენზე ვოცნებობ, ყველგან, ყოველთვის,
ხანდისხან ცხადათ წარმომიდგები..
ოჰ, რა კარგი ხარ!..
რა რიგ მიყვარხარ!..
შენთვის ტანჯული შენთვის მოვკვდები.
მაგრამ ოცნებას, ტიალ ოცნებას,
როს ფრთა ეკვეცვის, ვერ გიჭვრეტ ვერა!..
ოჰ, რისთვის გაჩნდი, რისთვის თუ ეგრე
მსჯიდა უკუღმართ ბედისა წერა!..
მტარვალის ხელმა ჩაისრა გული,
სისხლის ნაკადმა შეღება მდელო..,
ოჰ, უკმეხობავ!..
კაცთა სვავობავ!..
სულისა მწყვლელო, გულის მომკვლელო...
ცხრა მთას იქით ხარ გადაკარგული,
ბნელეთის დარაჯთ ვერ გაქცევიხარ!..
ოჰ, ერთხელ კიდევ რომ გიხილავდე...
რა საუცხოვო მშვენიერი ხარ!..
მონობის ბორკილს რომ დაამსხვრევდე,
გადმოლახავდე მთასა და ბარსა,
ოჰ, მაშინ, მაშინ შენი მგოსანი
შესწყვეტავს ტირილს, გლოვისა ზარსა.

აბ. პელაშვილი.

## ახირებული ამბები.

—

კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენისათანავე ქალაქში ხმა გავრცელდა: სახელმწიფო დუმამ დაადგინა ქალაქის თვითმართველობამ უთუოდ არამიანცის საავათმყოფოში უნდა იაქიმოსო. ამბობენ ეს წინადადება დუმაში ტიმოშკინმა შეიტანა და გამოწვეულია შურის ძიების გრძნობითაო. გამგეობის წევრებსა და ხმოსნებს თავზარი დასცა ამ ამბავმა, რადგან თუ ხმა გამართლდა, უთაოთ დარჩენილ ქალაქს ხმოსნებიც მალე შემოელევაო. ამბობენ უპრავა საპროტესტო წერილებს ამზადებს ამ დაუმსახურებელ სასჯელის წინააღმდეგო. საავათმყოფოს ,,ზე ვრაჩი‘‘ ბ-ნი სტეფანოვი წინადადებას აძლევს უპრავას: თუ ვინიცობაა ხმები გამართლდეს და ჩვენთან გამოგგზავნონ თავი მაინც დაიზღვიეთო.

ვნახოთ!

*
* *

ბელგიის უსახელო (სახელი კარგა ხანია გაუტყდა) საზოგადოების წარმომადგენელი სოხოვს მთავარ გამგეობას: უკანასკნელი გამარჯვების აღსანიშნავათ ნება დართონ მას, ბატაილს, გამართოს მეორე, პირველზე უფრო ჩინებული მეჯლისი ქალაქის თვითმართველობისა, ადმინისტრაციისა და ,,პრესის‘‘ წარმომადგენელთა თანადასწრებით. თამადათ ხატისოვს ასახელებენ, მოლაპარაკეთ ივ. ხაჩატუროვს, ხოლო მერიქიფეთ გ. ამირეჯიბს. დასასრულ იქნება სენსაციონური სანახაობა: Bataille des citoyens de Tiflis avec les cadavres (ბრძოლა თფილისის მოქალაქეთა გვამებთან) თანხმობას ელიან.

*
* *

რადგან ტრამვაის საზოგადოებას ძვირათ უჯდება 5 იანვრის მსხვერპლთა დასაფლავება, ეს საქმე იჯარით გადაუცია ბ-ნ ქანანოვისა. ქანანოვი როგორც ამბობენ გაერიგდება საბებიო ინსტიტუტის სტოროჟს. თითონ ტრამვაის საზოგადოებიდან აიღებს გვამზე 5 მანეთს, ხოლო სტოროჟს აძლევს 50 კაპ. როგორც ხედავთ ყველა მოგებული რჩება!

*
* *

ტრამვაის დირექტორს გამოუწერია აფრიკიდან ახლათ მოგონილი ტორმუზი ,,ვესტინჰაუზისა‘‘. როგორც ამბობენ ტორმუზის სიავკარგეს გამოსცდის ,,ტრამვაის კომისია‘‘. გამოცდიან ხმოსანი შახ-ბუდაგოვის ენაზე. ჯერ აუშვებენ პატივცემული ინჟენერის სამეტყველო ორგანოს და როცა მოძრაობის უმწვერვალესობამდე ავა, მოუჭერენ ტორმოზს. თუ გააჩერა, ცხადია ტრამვაისთვისაც გამოსადეგი იქნება და უეცრივ მოისპობა ყოველგვარი შიში 5 იანვრის განმეორებისა.

*
* *

სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ პატივცემულ დირექტორ-რეფორმატორს ტრამვაისას განზრახვა ჰქონია გამოიწეროს ბელგიიდან 200,000 გვირგვინი. აქ, ადგილობრივ, ერთობ ძვირია ეს სამკაული და თუ ყველა მის მიერ გასრესილ ადამიანს ტრამვაის საზოგადოებამ გვირგვინი უყიდა, უცილო გაკოტრება მოელისო. ყაირათიც ამას მიქვია.

კომეტა.

---

## ამონაკვნესი.

(ვუძღვნი ბეგლარს.)

რას შემომცქერი? რათ გაკვირვებს შუბლზე ნაოჭი,
ან სახე ჩემი მოწყენილი... და თმა ჭაღარა?
მწვავე ცხოვრების ქარტეხილმა დაღი დამასო,
უსამართლობამ ჩემი გული დაგუწ-დაღარა!

—

მე აღარ შევსტრფი ტიალ აწმყოს, შავბნელით მოცულს,
მისდამი თბილი გრძნობა ჩემ გულს არ ეკარება...
ხოლო წარსული უკუღმართი, გულის მომწყვლელი,
მოსაგონსათაც მიძნელდება და მეზარება!

—

მეც ვიყავ ერთ დროს გრძნობით სავსე ნორჩი, ჭაბუკი,
ჩემი გულიცა სატრფიალოთ აძგერებულა,
სიყვარულის ჩანგს, მის გიჟურ ხმებს, სიმების ჟღერას,
ჩემი არსებაც აუთლია, ამღერებულა!!!

—

ეჰ. სულ სხვა იყო ის ჭრელი და უხამსი რამ დრო,
როცა ლამაზი სიყვარულში მეფიცებოდა...
მე ჯადოსნურათ გულწრფელობას, თბილ გრძნობას მტყუვდა
სხვას ფულს ართმევდა, უმღეროდა, თავს ევლებოდა.

—

მეგობარიცა მყავდა, ვითომ დიდი ერთგული,
სულს არ ვზოგავდი, ვენდობოდი ამხანაგურად!
არც მან დამინდო... უსირცხვილოთ ცილი დამწამა,
ხიდათ გამიდო და ზედ გაძვრა ის ვერაგულად!

—

ვერც სიყვარული, ვერცა ძმობა და მეგობრობა
მე ვერა ვპოვე ვერც აწმყოში, ვერცა წარსულში:
მეგობრის ნაცვლათ მაიმუნი მიდგია გვერდით
და გულისა წილ, ფულს გთავაზობს წრფელ სიყვარულში!

—

რა ბევრი გითხრა? დამიკოდეს გული სევდებმა,
უსამართლობამ დაღი დამკრა, უფრო მატკინა...
მაგრამ ვერ ჩაჰკლა შიგ იმედი მომავლისადმი,
ვერცა თვალთაგან ცრემლის ღვარი გადმომადინა!

—

დადვრემილი ვარ, მაგრამ გული კიდევ სცემს ფიქალს,
თუმც დაჭრილია, მაგრამ ადრე გამიმთელდება
და იმედი მაქვს, წარსულის თუ აწმყოს წყვდიადი,
სასიხარულო შუქ მომავენ დღეთ გამითენდება!!!

ფ. რუშაველი.

# კუდიანი ვარსკვლავი,

ანუ

## კომეტა.

დღეს, დიდი თუ პატარა, ერი თუ ბერი, კუდიან ვარსკვლავზე ლაპარაკობს.

მართლაც ათას-გვარ ჭორებს ავრცელებენ ამ უვნებელი სტუმრის შესახებ და ამით საზოგადოება შეცდომაში შეჰყავთ. მარტო შეხედულობა კუდიანი ვარსკვლავისა კმარა მშიშარა და უცოდინარი ხალხის დასაფრთხობათ, აქ-კი ამას ათასგვარ შეუწყნარებელ ამბებსაც უმატებენ. განა მართლა საშიშარია ჩვენი სტუმარი?

სრულიადაც არა! ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი სტუმრობა არა ერთხელ და ორჯერ გამოუცდიათ დედა-მიწის მცხოვრებლებს. უკანასკნელათ ის გამოჩნდა 1835 წლის 4 ნოემბერს. იმავე წელს მოგვშორდა და აი დღეს გაფაციცებით ელის მას თითქმის მთელი კაცობრიობა. მისი გზა, მისი ყოველი ნაბიჯი, მისი მსვლელობის სიჩქარე, გზაზე მოსალოდნელი დაბრკოლება, ეს ყოველივე ხელთა აქვთ ასტრონომებს, ანუ ვარსკლავთ-მრიცხველებს.

დღევანდელ ჩვენს სტუმარს გალლეის კომეტა ეწოდება. ეს სახელი, რასაკვირველია დაბადებიდან არ დაჰყოლია ამ კუდიან ვარსკვლავს და ამ სახელის მიღებამდე კიდევ ბევრჯერ სწვევია ის დედამიწას. თავისი სახელწოდება მან მიიღო მეთვრამეტე საუკუნეში

ინგლისელი ასტრონომი ნიუტონი და მისი მეგობარი გალლეი შეეცადენ იმის დამტკიცებას, რომ კუდიანი ვარსკვლავი არის ისეთივე წევრი მსოფლიოსი, როგორიც ჩვენი დედა მიწა და სხვა პლანეტები. ამ დრომდე თვით უწარჩინებულესი ადამიანებიც კომეტის შესახებ ერთობ ახირებული აზრისა იყვენ: ზოგს მიწისგან ამოდენილ ორთქლათ მიაჩნდა ის, ზოგს დიდი კაცების სულათ და სხვ. გალლეის ცდამ უნაყოფოთ არ ჩაიარა. ის დარწმუნდა, რომ 1682 წლის კომეტა იგივე კუდიანი ვარსკვლავია, რომელიც სწვევია დედა-მიწას 1531 და 1607 წლებში. აქედან გალლეიმ ის დასკვნა გამოიყვანა, რომ აღნიშნული კომეტა დრო-გამოშვებით გამოჩნდება ხოლმე ჩვენს ცაზე და რომ ეს დრო უდრის 75 წელიწადს. გალლეი იმდენათ დარწმუნებული იყო თავისი გამოკვლევის სინამდვილეში, რომ იწინასწარმეტყველა ამ კომეტის გამოჩენა 1758 წლის დამლევის, ან 1759 წლის დასაწყისისათვის.

სიკვდილმა უფრო ადრე მოუსწრო მეცნიერს და აღარ დააცალა მისი გამოკვლევის ბრწყინვალე აღსრულებისათვის ეყურებია. ის 16 წლით ადრე გარდაიცვალა. სამაგიეროთ მისი წინასწარმეტყველება გასაოცარის სისწორით ახდა.

,,არასოდეს და არცერთ მეცნიერულ წინასწარმეტყველებას არ გამოუწვევია ისეთი ცხოველი და საყოველთაო ინტერესი განათლებულ კაცობრიობაში, ამბობს ფრანგების ასტრონომი ფლამაიონი, როგორიც გალლეის დაპირებამ გამოიწვია. დანიშნულ დროზე მხოლოდ ერთი თვით ადრე გამოჩნდა ცაზე, უკვე ცნობილი კომეტა და 1759 წლის 12 მაისს გაუსწორდა მზეს.

აი ამ წლიდან დაერქვა აღნიშნულ კუდიან ვარსკვლავს გალლეის კომეტა და აი ამ კომეტას ველით ჩვენ წელს.

ძველი, უხსოვარი დროითგანვე კუდიანი ვარსკლავი რაღაც სიავის მომასწავებელ ნიშნათ მიაჩნდათ. იმისი გრძლათ გაჭიმული კუდი და მოელვარე თვალი შიშს გვრიდა მაყურებლებს. მაგრამ უფრო მეტს მოკრძალებას კუდიან ვარსკლავისადმი ამ სოფლის ბობოლები და გვირგვინოსნები განიცდიდენ. საქმე იმაშია, რომ ამ ქვეყნის ძლიერებს. თავისი თავი ბუნების განსაკუთრებულ შემოქმედებათ მიაჩნდათ და გულით სჯეროდათ, რომ თითოეულ მათგანს ცალკე ვარსკლავი ჰქონდა ცაზედ, ან როცა მეუფე მათზე განრისხდებოდა კუდიან ვარსკლავს მოუვლენდა და ამით გააფრთხილებდა. ამ მიზნისთვის, ე. ი ვარსკლავთა განწყობილების გამოსაცნობათ ძველებურ გვირგვინოსნებს ცალკე მოხელეებიც (ასტროლოგები) ყავდათ. ასტროლოგები იკვლევდენ სხვა და სხვა პლანეტების მდებარეობას, ამის მიხედვით ადგენდენ ამა თუ იმ წინასწარმეტყველობას და ვაი მათი ბრალი, თუ ნათქვამი არ ახდებოდა. ბევრ მათგანს თავიც შეუწირავს ახირებული ან უსიამოვნო წინასწარმეტყველობისათვის. ძლიერ ეშმაკი და გონება მახვილი უნდა ყოფილიყო ასტროლოგი რომ ხიფათში არ ჩავარდნილიყო.

ერთ ამგვართაგანს ეკუთვნოდა, ფლამარიონის სიტყვით, ლიუდოვიკ XI ასტროლოგიც. ამ უკანასკნელმა უწინასწარმეტყველა მეფეს ერთი ქალის სიკვდილი და მართლაც ასრულდა. გაჯავრებულმა ლიუდოვიკმა დაიბარა თავისთან მსახურები და უთხრა: ასტროლოგს მოვიწვევ, თქვენ განიშნებთ, შეჰკარით ჩასვით ტომარაში და მდინარეში გადაუძახეთო. მიიწვიეს ასტროლოგი. მეფემ შორიდანვე მედიდურათ ჰკითხა:

— აბა მისმინე, შენ მშვენივრათ იცი სხვათა ბედი, მათი აღსასრული. ახლა მითხარი, რამდენი ხანი დაგრჩა შენ თითონ ამ სოფლათ ცხოვრება?

ასტროლოგმა დაუყონებლივ უპასუხა:

— დიდებულო მბრძანებელო, მე მამცნეს ვარსკვლავებმა, რომ ჩემი აღსასრული უნდა მოხდეს სამი დღით ადრე თქვენი გარდაცვალებისა.

ცრუ მორწმუნე მეფეს შეეშინა და ვერ გაბედა აღთქმული ნიშანის გაცემა. პირ-იქით, ამ დღიდან ის ყოველნაირათ ცდილობდა თავისი ასტროლოგის დღეგრძელობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სიტყვით კუდიანი ვარსკვლავი არც დიდ ბზბოლებს აძლევს მოსვენებას და ყველა მათგანი თავისთვის ისაკუთრებს მის ამა თუ იმ მნიშვნელობას.

**ნ. კალანდაძე.**

(შემდეგი იქნება)

# სურათი.

—

დილა არის!.. ძირს, ნისლებში,
მიღლილს სოფელს ისევ სძინავს;
და ძილშიაც, როგორც ცხადლივ,
შავ სიზმრებით კვნესის, გმინავს!

იქ კი, მაღლა მთის მწვერვალზე
მზე ამოდის... ნათლათ ბრწყინავს;
და წალკოტი ვარდ-ყვავილის,
მის სხივებ ქვეშ ელავს, ბზინავს...

—

არც სიოა უხალისოთ,
მიმოჰქროლავს ფიჭვ-ნაძვნარზე;
ჰა, ბულბულმაც შემოსძახა
ციური ხმა გრძნობის ქნარზე!

—

აქ ბუნების ზეიმია,
შეუდარო, ყოვლით სრული;
ჩვენს ტანჯვას კი, ჯოჯოხეთურს,
არსით უჩანს დასასრული!..

**გ. ქუჩიშვილი.**




**ბათუმი.** ეშმაკო, ნუ მოგვიძულებ
ჩვენსკენაც ქენი პირია,
ბათუმელ ასოთ-ამწყობებს
გამათრახება სჭირია.
გაუქრათ აზრი ცხოველი,
სიმართლის მთქმელი ძვირია;
მათში კაცურ კაცს ნუ ეძებ,
„ინტრიგანები“ ხშირია;
დღეს, მოქმედება ამათი,
ყველასთვის გასაკვირია.
„ბატუმსკი ვესტის“ მუშებსა
მეტი ცხუნება სჭირია,
ყველაზე უწინ და უფრო
მათ გაიშავეს პირია.
საერთო საქმე არა სურთ,
ერთიმანის განაპირია;
ლანძღვა-გინება-მუშტ-კრივში
გამოდგენ უფრო გმირია.
ხაზეინები როს ხედვენ:
ამგვარსა იმათ კავშირსა,
გახარებულნი ელიან
როდის მოსდებენ ალვირსა.
ამასთან მინდა ვახსენო
ხაზეინები ორია
გაზეთის „მეპოდრაჩიკე“
ჩვენი კატო და კოლია.
დღეს მათ მუშების „პატივში“
ბათუმში არ ყავთ ტოლია.

**ას. ამ. სანკანიძე.**

—

**სად. სუფსა.** პატივი მაქვს, აუგილობრივ საქმეთა შესახებ, მცირედი რამე მოგახსენო.

ამ დღეებში აქ „ბრწყინვალე წოდებას“ კრება გაუმართავს, „მსწავლულ“ კნიაზის ვანო გურიელის თავმჯდომარეობით. შესანიშნავი მოხსენება წაუკითხავს ტემლაკ გურიელ. კრების საგანი საქველმოქმედო მიზანი იყო. დიდი კამათის შემდეგ ერთხმათ გადაუწყვეტიათ, რომ: იჯარის ფულის აწევით გამოწვეული გლეხთა უკმაყოფილება არ გაამწვავონ საჭიროა 4—5 მან. მაგივრათ ქცევაზე ახდევიონ წლიურათ 9—12 მანეთი. ამასთან ერთად განიზრახეს დააარსონ „კოოპერაციები“ საიდანაც გლეხებს შეეძლებათ შეიძინონ გაუმჯობესებული იარაღები, როგორც მაგ. ორთქლმავალი გუ-

თნები, იყოლიონ აგრონომები, და მით ჩვენში აგრიკულტურა უმაღლეს დონეზე დააყენონ. ასეთ საქველმოქმედო საქმეებისთვის საჭირო ,,წვლილე-ბი", (მგონი მსხვილებიც კი) ჯერ არ ჰქონიათ, და ბოლოს როგორც მოსალოდნელი იყო მისულან იმ დასკვნამდე, რომ ამ ,,წვლილის'' მოსაპოებლათ აიღონ სულზე ორ ორი მან. შეშის ბაჟი, ამდენივე საბალახოზე (საძოვრის) და თითო მან. ქცევაზე ,,ნალეჟრობი''. ეს უკანასკნელი სტოროჟების სასარგებლოდ. სულ თითო კომლს 15—20 მან. შეხვედრიათ და ეს „წვლილები" კიდეც მოუკრებიათ.

არა სჩანს მხოლოდ ,,კასსა'', და ბ-ნო ეშმაკო აქ არის საჭირო თქვენი დახმარება. ,,კეთილშობილ'' ჩვენებურ ,,ანგელოზებს'' ძლიერ ეხატრებათ შენი მათრახისა, რადგან თითონაც ერთობ გულმოდგინე თაყვანის-მცემელნი არიან ამგვარი იარაღებისა. გთხოვთ არ გააწბილოთ.

**ბუზნის ტუზი.**

—

**ჭიათურა.** ძმაო ეშმაკო „აგენტათ"
გვყავს კოტე „დავიდიჩია"
მუშათა ატენტს ვეძახით
საქმის არ ესმის ინჩია!!
ჯოჯოხეთიდან გადმოგვცეს
კიტას აგენტი გახლავსო,
შავი ქვის მორიგ კრებებზე
„ტკბილ მოსაუბრეთ" ახლავსო!!
მისი წყალობით იშოვა
ეს დიდებული ბინაო
და შეუფერი დიპლომიც
იმისგან შეიძინაო!!
თუ ავათმყოფი მივიდა.
ვერ ეღირსება შველასო,
მოყვება რაღაც ზღაპრებსა,
განგებ აიტეხს ხველასო!!)
ეტყვის: მე იმას ჩავდივარ,
საბჭო რო მიკარნახებსო,
(რაღაც ქაღალდის ნაგლეჯსა
ათასჯერ დაანახვებსო!!
ამგვარათ ავათმყოფები
„უკვიტანციოთ" რჩებაო...
მე დავძენ, — მუშათა წყრომას
კოტე რით გადურჩებაო!!
ამ ჩვენ სურვირებს ვუცხადებთ
მთელ ჯოჯოხეთის ძალებსო,
რადგანაც კოტე აგენტი"
ავათმყოფთ არ იბრალებსო.
იმდენი მოსცხონ მათრახი
ცრემლი მოადგეს თვალებსო!!.

**ჯგუფი.**

—

**ციმბირი.**

ბიძია ეშმაკო! გვსურს აქაური დუხჭირი ცხოვრება გაგაცნოთ. მართალია ციმბირი ძალიან შორსაა თფილისიდან და ზოგი იფიქრებს, მათრახის კუდი თქვენი აქამდე ვერ გადმოუწევსო, მაგრამ მე მწამს, თუ საჭირო იქნება ციმბირელებსაც ანავებთ თქვენი მათრახის სიმწვავეს.

პირველ ყოვლისა თქვენი ყურადღების ღირსნი ზოგიერთი აქაური ქართველები არიან, რომელნიც მკვლელობითა და ძარცვა-გლეჯით შიშის ზარსა სცემენ მცხოვრებლებს და სახელს უტეხენ თანამემამულეებს. მათი მეოხებით სიტყვა ,,კავკასიელი'' და მით უმეტეს ,,ქართველი'' სინონიმია მძარცველობისა.

მაშინ, როდესაც სახელმწიფო დუმაში ჩელიშევი და მისი ამალა ამხედრებულან არაყის დალოთობის წინააღმდეგ, აქ სოფელ გარბიცაში არის სახელმწიფო არაყის სავაჭრო. ამურის გზიდან მიდიან ჩარჩები იყიდიან და როდესაც ცოტა მოაშორებენ დახვდება პოლიცია წაართმევს და უკანვე აბრუნებს. ამას წინეთ ჩარჩ დოლგოვს წაართვეს 50 ვედრა არაყი და ისევ სახელმწიფო სავაჭროს დაუბრუნეს

.. ..ქანქარის ,მაშოვარ'' ამურის რკინის გზის მოხელეებს სურთ ლელო გაიტანონ. თუ როგორ დაიწვა ამ გზის აშენების ანგარიშები, როდესაც ის მატარებლით პეტერბურგისაკენ მიქროდა ეს უკვე გეცოდინება.

ახლა სადგურ ჩასოვინსკაიაში რკინის გზის მასალის საწყობის გამგეთ ბ. ფუფაევი ბრძანდება. მოსდომებია ამ ვაჟბატონს ქანქრის ჩაყლაპვაში ეგზამენის დაჭერა და ხერხიც მოუგონია. ანგარიშებში ფუთ მასალის გემიდან გადმოზიდვაზე თორმეტ კაპეიკი მაგივრათ ხუთი შაური ჩაუიმასქნია—12 კაპ. მუშებისთვის მიუცია, ხოლო 13 ცალკე შეუნახავს. ამისანაები, რასაკვირველია სხვებიც. როდესაც ხელქვეითმა მოსთხოვა მოპარულში წილი, ბ. ფუფაევმა უარი უთხრა და აი სწორეთ „ციხე შიგნიდან გატყდა''. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ფუფაევს მართლა მოუპარავს. ამბობენ ქურდობის არ ცოდნისათვის სამსახურიდან დაითხოვენო. რომ კარგათ მოეპარა და ვერავის დაეჭირა, მაშინ ხომ. .

ერთი სიტყვით აქაური მოხელეები ძალიან უმადური არიან, რომ მათ კანტროლი დაუნიშნეს. მესამე უჩასტკის სჩეტოვოდმა ბ. ბუნევიცკიმ ტირილით მითხრა, რომ ამურის გზა სულ სხვა პირობებში შენდება, ვიდრე სხვა გზებიო—ყველგან კანტროლი, ყველგან შიში მოპარულისათვის—სულ სხვა იყო აღმოსავლეთ ჩინეთის გზის აშენებაო—ასეა ბ-ნო ეშმაკო აქაური საქმე.

მუშების მდგომარეობაც უიმედოა, ამურის გზაზე.—თუმცა მოიჯარადრეები ამბობენ, ახლანდელი მუშის მოტყუება ძალიან ძნელიაო.—ამასთან აგონდებათ წარსული დრო—როდესაც მუშებს კისერზე იჯდენ.

**ციმბირელი ეშმაკი.**

———




# თვითმართველობის თვითმოქმედება.

**ა. ი. ხატისოვი.** ალექსანდრ მიხაილოვიჩ, ეს ძლიერ სასტიკი დეპეშა გამოდის. არ კი ჰწყინოთ და!...

**ა. მ. არღუთინსკი.** სხვა არაფერი გაგვიკეთებია და დეპეშები მაინც ვაგზავნოთ. ჩვენი ვალია დავიხსნათ განსაცდელისაგან...

**ნ. ე. არღუთინსკი.** მოიცადეთ, ყმაწვილებო, ჩვენც ვნახოთ რასა გზავნით...

**კოკჩაევი.** შეამოკლეთ, შეამოკლეთ, რომ უბრალო ხარჯები არ აგვყვეს...

## ჭიათურის ცის ტატნობზე.

### III.

გავსცქერი და აი ვსჭვრეტ საბჭოს მსახურს, რომელიც წელში სამათ მოკეცილი მიაბიჯებს და ძლივს მიაქვს ვებერთელა ტვირთი. მივხვდი რაშიაც იყო საქმე: ალბათ საბჭო დაძრულა თავმჯდომარითურთ ქუთაისიდან და რაც ჭიათურაში კალოდა კარტია ყველა უნდა დაახვედროს მსახურმა თქო, გამირბინა თავში და იმ წამსვე მეორე სურათი ალბექდა უტყუარმა ცის ტატნობმა. ვხედავ—სტოლს შემოჯდომიან საბჭოს თავმჯდომარე, წევრები, ბუხგალტერები (ესენი როგორც სტუმრები) და ადგილობრივ ინტელიგენციის ნაღებნი (СЛИВКИ). გაცხარებული კარტის თამაშია. ადგილობრივნი უხვათ უმასპინძლდებიან ფულებით სტუმრებს. ზოგი კი ქართველურ ადათს ტოვებს და სულ ჯიბეს ,,უჩისტავს‘, როგორც დამხდურთ, ისე მოსულთ. იქვე გვერდით ვიხილე დიდი ჭიქა ზედ წარწერით: ვინც მოიგებს, იმან განსაზღვრული პროცენტი (5) სახ. უნივ. და წ. კ. განყოფილების სასარგებლოთ უნდა გადასდოსო. მესიამოვნა, ვსთქვი: მაშ ქართველი რის ქართველია, თუ სტოლზე ჯდომისას საქვეყნო საქმე არ მოიგონათქო. ეს აზრი არ დამეთავებია, რომ ორი ვეებერთელა თეთრი თაგვი (აი სწორეთ ისეთები გოგოლის გოროდნიჩს—სკვოზნიკ-დმუხანოვსკის რომ ესიზმრა) საიდგანღაც გაჩნდა და მოთამაშეთა სტოლზე ცუნცული იწყო; ყველა შეშინდა, ჯიბეებს ხელი იტაცეს—აბა ვის ჩაუხტებიანო, მარა რაკი გამოირკვა, რომ ამ თაგვებს ადგილობრივ ბანკის კასაში თხილის სატკვერი და ქონის საცუცქნი ბინა უნდა გაეკეთებიათ, ყველა დაწყნარდა და განაგრძეს კვლავ ბანქოობა. მარა კიდევ ხელის შემშლელი გარემოება! მოდის, ვხედავ, ორი ქალი, ერთიაბ მოწყენილნი, დაღვრემილნი მიუახლოვდენ საბჭოს კარებს.

— შევიდეთ? იკითხა ახალგაზრდამ. . რაღაც გული არ მეუბნება...

— გამაგრდი, ნუ გეშინია, ერთხელაც ვსცადოთ, იქნებ რამე გამოვიდეს!...

დაუკაკუნეს კარებს... გაიღო. მიიღეს სტუმრები. გათავდა მისალმ-მოსალმება.

— ბატონო, მოგეხსენება ჩვენი პროგიმნაზია დიდ უსახსრობას განიცდის... დაიწყო ერთმა მოსულთაგანმა.

— ოო, ვიცით... ვიცით! უპასუხეს... მეტი კი ვერა გავიგონე რა, მხოლოთ ინტერვიუს გათავებისას გულ-დამძარებულ მანდილოსნებს მოაძახა ვისიც ჯერ იყო! ,,როგორც მოხველ სვინაო, ისე მიხვალ შინაო‘‘... და კვლავ-გახურდა ბანკი-ფრაპი-ბაქარა.

კონტრ ეშმაკი.

---

## წერილები რედაქციის მიმართ.

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ გაახსენოთ ბ-ნ ვიქტორ ლლონტს, რომ მან მე სამედიატორო სამართალში გამომიწვია და ჩემი მედიატორები: ბესარიონ ვაშაკიძე და ვანო ტუღუში კარგა ხანია ელიან მის ყურადღებას.

ტლინკაძე.

—

ბ-ნი რედაქტორო! პატივცემ. გაზ. «მათრახ და სალამურის‘‘ № 29-ში მოთავსებულია წერილი სად. შორაპანიდან, რომელიც ეხება კონდუქ. არ. ლოლაძეს. იმედი მაქვს, ლოლაძის საყურადღებოთ განმარტებთ, რომ მე არა ვარ იმ წერილის ავტორი.

ალექსანდრე ჯუღელი.*)

—

ბ-ნო რედაქტორო! თანახმობას ვუცხადებ დიდი ჯიხაიშის ქსენონ—აფთიაქის კომიტეტებს და ვაახელებ, მედიატორებათ. ბ., გიორგი დუნდუას, სევერიანე ხვიჩიას, და პროვიზორ სპირდონ ნიჟარაძეს. ესენი იმათ მედიატორებთან ერთ დ შეუდგებიან საქმის გარჩევას ადგილობრივ, უმთავრეს ყურადღებას მიაქცევენ ჩემს საპასუხო წერილს, რომელშიაც ჩამოთვლილია მთელი რიგი, ბრალდების, და რომელიც შეადგენს ჩემი მესტვირულის განმარტებას. მედიატორეები შეეხებიან მთელს ანგარიშს ქსენონ-აფთიაქისას, ანგარიშს გაუწევენ როგორც მსხვილს, აგრეთვე ყოველივე წვრილმანებსაც; ხოლო დადგენილება გამოცხადებული იქნება ,,მათრახ სალამურში‘‘.

,,კიკოლა ბიჭი‘‘

—

ბ-ნო რედაქტორო! ,,მათრახ-სალამურის‘‘ მე 28 ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია ოზურგეთიდან ვიღაც ჯილეხისა, რომელშიაც სხვათა შორის მეც უდიერათ მახსენებს და ტყუილ უბრალოდ ჩირქსა მცხებს. სიმართლის ასადგენათ ვიწვევ მას სამედიატორო სამართალში და მედიატორეების ვინაობას ვამცნობ პასუხის მიღებისათანავე. ვადას ვაძლევ ერთ კვირას დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა.

ივლიანე ჯაყელი.

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ საშვალება მომცეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით პასუხი მოვსთხოვო კორესპონდენტს ბ. ,,პროვინციელ ეშმაკს,‘‘ რომელმაც კეთილ ინება და გაზეთ მათრახის № 28-ში უმგზავსო ცილი დამწამა.

ბ. ,,პროვინციელო‘‘ გეკითხებით, და იმედია პასუხს მომცემთ: 1) რომელი წყაროდან გაიგეთ, რომ მე მედიატორეთა თავმჯდომარეთ ვიყავი და ქრთამი ავიღე. 2) სიდან იცით, რომ მე მრავალი სიყალბე ჩამიდენია? 3) სიდან გაიგეთ, რომ ჩვენ მრავალი ვალები შემნახველ გამსესხებელი კასისა შევიტყემლის კვერეთ,

აი ამის დამტკიცებას მოვითხოვ თქვენგან და იმედია გამომყვებით სამედიატორო სამართალში.

ჩემის მხრით მედიატორეებათ ვნიშნავ გრიშა ურუშაძეს, გიორგი დუნდუას და ყარამან კოპალეიშვილს. თუ ამათში, ერთ ერთს, დანიშნულ დღეს დრო არ ექნება, ნებას ვიტოვ სხვა პირი ავირჩიო.

დათიკო ამ ლლობელი.

*) რედაქცია ამოწმებს ბ-ნი ჯუღელის თხოვნას.

---

## მათრახის ფოსტა.

**ყვირილა.** გარიცკოს. დაგვიანდა.

**სადმე.** ორ-სოფელს. ორი ეკუთნის.

**თფილისი.** ალის. დაგვიანებული ალის.

**ლანჩხუთი.** შ. ებრალიძეს. არ დაიბეჭდება. განცხადება თუ სერიოზულია არ დაიბეჭდება, ხოლო თუ სახუმარო არ ვარგა.

**ბათუმი.** ციცაგვს. არა.

**ფოთი.** სკურე-პირელს. ვერ მოგიწონებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წლიწადი** **1910 წლისათვის** **მეორე.**

## მიიღება ხელის მოწერა

## ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე




ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს ავვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

## პრემიათ გაეგზავნება

# ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.

**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლათ შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ **2** მ. **50** კ. დანარჩენი **2** მ. **50** კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნ. „მათრახი და სალამური“ გამოვა იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიღებენ: **აზიანი, ბლიკვამე, განჯის-კარელი, ეშმაკი, გოლდემარი, ზომლეთელი, თურდოს-ზირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, ზიცნა, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაველი, ტუქსიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკოლა და სხვანი.**

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе.

ელექტრომ. ბეჭდ. ამხ. „შრომა“ რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ტურაბელიძე.




# ქ ე რ ი.

ლიტოგრაფია ს. ზიხოვისა.

**ხომიაკოვი.** ეი, ძმობილო! საით მივიტანო ეგ ქერი?

**სალდათი.** აი აქეთ მოაბრუნეთ თქვენო მაღალშობილებავ, საინტენდანტოში.